

19-962-1

5-971

თბილისი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახე-  
ლმუზეუმი უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დანა წერილის ასული გუცია

XX საუკუნის ოთხმოციანი ტლების ქართული ნოვე-  
ლისტიკის ყობიერობი პრობლემა  
/რევაზ ინანიშვილის, გურამ დოჩანაშვილის, რევაზ მიშველა-  
ძის, გოდერძი ჩოხელის, ოთარ ჩხეიძის პროზაზე დაყრდნო-  
ბით/

10.01.02. – ქართული ლიტერატურა /უახლესი ქართული ლიტე-  
რატურის ისტორია/

### ავტორებისატი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოხარულებად

თბილისი  
1998

ნაშრომი შესრულებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის სახელმწიფო უნივერსტიტეტის ფილოლოგის  
ფაკულტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის  
კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რ. მიშველაძე  
ექსპერტი — ფილ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი  
ო. ბაქანიძე

ოფიციალური ოპონენტები — ფილოლოგიის  
მეცნიერებათა დოქტორი, ლ. სორდია  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი  
ი. მილორავა.

წამყვანი ორგანიზაცია — თბილისის სულხან-საბა ორბელია-  
ნის სახელობის სახელმწიფო კედაგოგიური ინსტიტუტი.


დისერტაციის დაცვა შედგება 1998 წლის **6. ნოემბრი**,  
... საათზე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს  
P.10.01.CN2 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო  
ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა **1/10** 1998 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

6 -  6. ტაბიძე

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

ნაშრომი ეხება მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ქა-  
რთული ნოველისტიკის ზოგიერთი პრობლემის მიმოხილვას რე-  
ვაზ ინანიშვილის, რევაზ მიშველაძის, გურამ დოჩანაშვილის, გო-  
დერძი ჩოხელისა და ოთარ ჩხეიძის პროზაზე დაყრდნობით.

**თემის ატრალობა.** მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები სა-  
ქართველოს უახლოეს წარსულს წარმოადგენს. ამდენად, ბუნე-  
ბრივია, ჯერ არც ჩამოყალიბებულა აღნიშნული პერიოდის შესა-  
ხებ განსაზღვრული აზრი, არ შეფასებულა უკანასკნელი ასწლე-  
ულის მერვე ათწლეულში მომხდარი მოვლენების ჭეშმარიტი მნი-  
შვნელობა.

ქართული მწერლობა, როგორც ერის ჭეშმარიტი მატიანე,  
იძლევა ისტორიის აღნიშნული პერიოდის მხატვრულ ანარეკლს.  
ბუნებრივია, მხატვრული სიტყვით გაცხადებული წარსული ვერ  
იქნება რეალურ მოვლენათა ზუსტი, აბსოლუტური ასლი. ისტო-  
რია აյ წარმოჩნდება არა დროში თანმიმდევრულად განხორცი-  
ელებულ მოვლენათა ჯაჭვად, არამედ ადამიანის სულში გათამა-  
შებულ დრამად/ხშირად — ტრაგედიად/. ქართულ კრიტიკაში  
არსებობს ტრადიცია დროის კონკრეტულ მონაკვეთებში შე-  
ქმნილი მხატვრული ნაწარმოების საფუძვლიანი ანალიზისა,  
რაც აღნიშნული პერიოდის ეპოქალურ სულისძვრათა წარმოჩე-  
ნას ემსახურება. თემის აქტუალობა გამოიხატება მეოცე საუკუ-  
ნის ოთხმოციანი წლების ქართული ნოველისტიკის ზოგიერთი  
ნიმუშის სწორედ ამ თვალსაზრისით წაკითხვაში, მაგრამ ზემო-  
თქმული საკითხის ოდენ ერთი მხარეა. მწერლობა არ წარმო-  
ადგენს მოვლენათა მხოლოდ აღმნესხავს /ამისთვის ისტორია  
არსებობს/. ნაშრომი წარმოაჩენს ქართველ მოაზროვნეთა მიერ  
დანახული ქართული სინამდვილის მხატვრულ ანარეკლს, თუმც,  
რასაკვირველია, ამ ანარეკლის ოდენ ცალკეულ ასპექტებს და  
არა-ოთხმოციანი წლების ქართული ნოველისტიკის ამომწურავ,  
ყოვლისმომცველ სურათს.